

ალკოჰოლის მოხმარება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მაგისტრატურის სტუდენტებში Covid-19-მდე და Covid-19-ის დროს

ნინო მარჯანიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერი ხელმძღვანელი: დავით ოთიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020წ

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო მარჯანიშვილი

თარიღი: 10.07.2020

აბსტრაქტი

შესავალი: როდესაც დავიწყე საკვლევ თემაზე ფიქრი, გავეცანი სხვადასხვა სტატიებს და ნაშრომებს ადიქციის მიმართულებით და დავვინტერესდი სტუდენტებში ალკოჰოლის მოხმარების თემით, ხოლო ჩემი კვლევის ფარგლებში ყურადღება გავამახვილე კონკრეტულ სოციალურ ჯგუფზე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტებზე. ეს ჯგუფი ავიღე საკვლევ სამიზნე ჯგუფად იმ მიზეზის გამო, რომ თავად მეც ვარ მაგისტრატურის სტუდენტი და საინტერესო იქნებოდა ისეთ თემაზე მუშაობა, რომელიც ჯგუფის წარმომადგენელიც თავად მე ვარ. გარდა ამისა, ქართულ რეალობაში ვერ მოვიძიე კვლევები, რომელიც ამ საკითხზე იქნებოდა და დეტალურ ანალიზს შემოგვთავაზებდა. გამომდინარე იქედან, რომ კვლევის ჩატარება მომიწია პანდემიის პერიოდში, გადავწყვიტე COVID-19-მდე სიტუაცია ალკოჰოლის მოხმარების მხრივ შემედარებინა COVID-19-ის დროს სიტუაციას და მეპოვა განმასხვავებელი ან მსგავსი ნიშნები.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია, ალკოჰოლის მოხმარების შესწავლა სტუდენტებში და COVID-19-მდე სიტუაციის შედარება COVID -19-ის სიტუაციასთან. კერძოდ, მაინტერესებდა როგორია მაგისტრატურის სტუდენტებში ალკოჰოლის მოხმარების სურათი სხვადასხვა განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით, როგორც არის სქესი, ფაკულტეტი, მუდმივი საცხოვრებელი, რეიტინგის ქულა მაგისტრატურაზე, ჰყავთ თუ არა პარტნიორი. კვლევის კითხვარმა მომცა საშუალება დამენახა, თუ რა ტიპის ალკოჰოლური საშუალებები არის პოპულარული სტუდენტებში, ვისთან ერთად და სად მოიხმარენ ალკოჰოლს, მთავარი მიზეზები ალკოჰოლის მოხმარების, საშუალოდ კვირის განმავლობაში რა რაოდენობის თანხას ხარჯავენ ალკოჰოლის ყიდვის დროს, ჰქონიათ თუ არა ზედოზირების შემთხვევები.

კვლევის მეთოდი: კვლევისთვის შერჩეულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი - ონლაინ ჯვარედინ-სექციური გამოკითხვა, სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. კვლევის მონაცემები შეგროვდა ონლაინ პლატფორმა Kobo Toolbox-ზე. კვლევის მონაცემები დამუშავდა რაოდენობრივი კვლევის მონაცემების დამუშავებისთვის განკუთვნილი SPSS პროგრამის საშუალებით.

კვლევის შედეგები: კვლევაში მონაწილეობა მიიღო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის 268 სტუდენტმა, საიდანაც 77.9% (209) იყო ქალი, ხოლო 22.02% (59) - კაცი. სტუდენტების ასაკი იყო 20 წლიდან 42 წლის ჩათვლით, საშუალო ასაკი - 24 წელი. კვლევის მონაწილეების უმრავლესობამ დააფიქსირა, რომ მათ ჰქონდათ მოხმარებული ალკოჰოლი ბოლო 12 თვის განმავლობაში. პანდემიის პერიოდში ალკოჰოლის მოხმარების სიხშირე და რაოდენობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა პანდემიამდე პერიოდთან შედარებით. თვითიზოლაციის დროს, ზოგადი მაჩვენებლით ღვინო გახდა ყველაზე ხშირად მოხმარებადი სასმელი, მაშინ როცა, მანამდე ღვინოს და ლუდს თითქმის ერთნაირად მოიხმარდნენ. შემცირდა ალკოჰოლზე დახარჯული თანხის რაოდენობა თებერვლის თვესთან შედარებით. ხოლო ალკოჰოლის მოხმარება, როგორც განტვირთვის საშუალება, თვითიზოლაციამდე და თვითიზოლაციის პერიოდშიც იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ალკოჰოლის მიღებისა.

კვლევის დასკვნები: თუ შევადარებთ ალკოჰოლის მოხმარებას სტუდენტებში COVID-19-მდე და COVID-19-ის დროს, სურათი არ არის საგანგაშო, მოხმარების სიხშირე და რაოდენობა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ პერიოდებში ერთმანეთისგან. თვითიზოლაციის დროს გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ალკოჰოლს ოჯახის წევრებთან ერთად ან მარტო მოიხმარდა, რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ აპრილი - მაისის პერიოდში დაკეტილი იყო ყველა ის ადგილი, სადაც თებერვლის თვეში სტუმრობდნენ კვლევის მონაწილეები, შესაბამისად, ალკოჰოლის მოხმარების ადგილმა გადაინაცვლა სახლში, ოჯახის წევრებთან ერთად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ალკოჰოლის მოხმარება, უნივერსიტეტი, სტუდენტი, COVID-19

Abstract

Introduction: While starting thinking about research topic, I found various articles and papers about addictions and got interested about the consumption among students. For the research groups, I chose master level students of Ilia State University.

The reason behind choosing that research group was based on the fact of me being master student as well and the interest of analyze group which I am being representative of. Moreover, I was unable to find any researches regarding the topic with detailed analysis. Due to the fact that research happened to be done during Covid-19 pandemic, I decided to compare alcohol consumption patterns of pre and post COVID -19 periods and find similarities and differences.

Research aims: The aim of the research is to study alcohol consumption among students and compare situations before and after COVID -19. Specifically, I was interested in how alcohol consumption patterns differ among students regarding different characteristics, such are: gender, faculty, current address, rating score on master level, whether having partner or not. Research questionnaire helped me to view which types of alcoholic beverages are popular among students, with whom and where are they consuming alcohol, main reasons of alcohol consumption, on average how much money they spend on buying alcohol, having or not overdosing cases.

Research methods: For the study there was chosen method of quantitative research - online cross – sectional study design with structured questionnaires. The data of online research was saved on online platform Kobo Toolbox. And the data was analyzed with the program - SPSS specifically suitable for for analyzing quantitative research data.

Research findings: In total 268 respondents participated in the survey. Mean age of the respondents was 24 and 77.9% (209) were females and 22.02% (59) were males. The majority of the participants of the research noted that they had consumed alcohol during the last 12 months. There were no major changes observed in the prevalence, frequency and amounts of alcohol consumption in a period of COVID-related isolation if compared to pre-COVID period. In the period of isolation, generally wine became the most consumed beverage, while before the consumption of wine and beer was almost equal. Also money spent on alcohol was

reduced compared to February. Though alcohol consumption as the way of relaxation was the most important factor when taking alcohol both before and after self-isolation.

Conclusions of the research: If we compare alcohol consumption among students before and after COVID -19, the image is not alarming. Consumption frequency and amount do not differ significantly. During self-isolation the number of the people, who consumed alcohol with family members or alone, has increased. That was caused by the fact that from April to May all places were closed which participants visited in February. Therefore, alcohol consumption place was replaced at home, with family members.

Key Words: Alcohol consumption, University, Student, COVID-19

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, დავით ოთიაშვილს, კვლევის პროცესში გაწეული მხარდაჭერისთვის და რეკომენდაციებისთვის.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს ირმა კირთაძეს, კვლევის პროცესში გაწეული კონსულტაციებისთვის.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გაწეული დახმარებისთვის, რომელიც მოიცავდა ჩემს რესპოდენტებთან დაკავშირებას უნივერსიტეტის მეილების საშუალებით.

უდიდეს მადლიერებას გამოვხატავ ყველა იმ რესპოდენტების მიმართ, რომლებმაც დრო გამონახეს და მიიღეს ჩემს კვლევაში მონაწილეობა. მათ მიერ მოწოდებული პასუხების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით იმ რესპოდენტებს, რომლებიც სხვა რესპოდენტების მოძიებაში დამეხმარნენ.